



ბრიტანეთის საბჭომ საქართველოში აჭარის განათლების ფონდის უცხო ენებისა და კომპიუტერის შემსწავლელი უფასო კურსების ინგლისური ენის პედაგოგებისათვის დაგეგმა პროექტი:

“ ზრდასრულთა სწავლებაზე ორიენტირებული პრაქტიკულ-მეთოდოლოგიური კურსი აჭარის განათლების ფონდის ინგლისური ენის მასწავლებელთათვის“

პროექტი ითვალისწინებდა „აჭარის განათლების ფონდის“ ინგლისური ენის პედაგოგების გადამზადებას მათ მიერ ზრდასრულთათვის ინგლისური ენის უფრო ეფექტურად სწავლების მიზნით.

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე ჩატარდა აჭარის განათლების ფონდის პედაგოგთა საჭიროებების კვლევა. ბრიტანეთის საბჭოს ექსპერტი შეხვდა პროექტის ფოკუს ჯგუფს. შეხვედრის დროს მოხდა აზრთა გაზიარება პედაგოგთა პროფესიული განვითარების საჭიროებების შესახებ.

აჭარის განათლების პედაგოგებმა შეავსეს ექსპერტის მიერ მომზადებული სპეციალური კითხვარი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტი ასევე დაესწრო გაკვეთილებს აჭარის განათლების ფონდში.

პედაგოგთა საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით და ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ბრიტანეთის საბჭოს ექსპერტებმა ჯონ დიესმა და ტიმ ჰეიზელმა მოამზადეს და ჩაატარეს 5 დღიანი (სულ 35 სთ) სატრენინგო პროგრამა: **„ზრდასრულთა სწავლებაზე ორიენტირებული მეთოდურ-პრაქტიკული კურსი აჭარის განათლების ფონდის ინგლისური ენის პედაგოგებისათვის.“**

ტრენინგი მიმდინარეობდა 2014 წლის 6-10 დეკემბერს.

საერთო ჯამში ჩატარდა 15 თეორიული სესია, ხოლო 10 საათი დაეთმო მიკრო-პრაქტიკულ სწავლებას.

ტრენინგი გაიარა „აჭარის განათლების ფონდის“ 27-მა პედაგოგმა.

დასრულების შემდეგ ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.